გადაწყვეტილება

N გ-20-21/969
31/12/2020

969-გ-20-1-4-202012311719

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და ააიპ „მედიააკადემიის“ 2021 წლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების შესახებ

I. საქმის აღწერა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) 2020 წლის 31 დეკემბრის სხდომაზე კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსმა ნათია დევდარიანმა, კომისიის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შეუფერხებელი შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოადგინა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და ააიპ „მედიააკადემიის“ (შემდგომში „აკადემია“) 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი შემუშავდა 2020 წლის ფაქტიური შემოსავლებიდან და ხარჯებიდან გამომდინარე, ასევე კომისიის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი 2021 წლის სავარაუდო ხარჯების გათვალისწინებით.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად: კომისიის 2021 წლის საპროგნოზო წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 11,935,003 ლარი, საიდანაც რეგულირების საფასურის შემოსავალი არის 8,466,930 ლარი, რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის შემოსავალი 3,133,291 ლარი, ხოლო საპროცენტო შემოსავლები 334,782 ლარი. სარეზერვო ფონდიდან ასათვისებელმა თანხამ შეადგინა 3,316,997 ლარი. შესაბამისად, 2021 წლის საპროგნოზო შემოსავლებისა და ასათვისებელი სარეზერვო ფონდის თანხის ჯამი შეადგენს 15,252,000 ლარს.

2021 წლის დაგეგმილი ხარჯების მოცულობა, 2020 წლის ბიუჯეტის თერთმეტი თვის ფაქტიური ხარჯებიდან და კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი სავარაუდო ხარჯების გათვალისწინებით, განისაზღვრა 15,252,000 ლარით,

საიდანაც მედიაწიგნიერების ხარჯები შეადგენს 3,133,291 ლარს, რომელიც მოიცავს აკადემიის მიზნობრივ დაფინანსებას თანხით 2,464,033 ლარი.

II. სამართლებრივი საფუძველი და დასაბუთება

1. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო ყოველწლიურად, შესაბამისი კანონით დადგენილ ვადაში შეიმუშავებს საკუთარ ბიუჯეტს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი უნდა შედგებოდეს შესაბამისი კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის ყოველწლიურად აუცილებელი მიმდინარე და კაპიტალური ხარჯებისაგან, აგრეთვე ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯებისაგან.
2. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის 14^5 მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯები ცალკე მუხლად აისახება შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში.
3. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კომისია ამზადებს და აქვეყნებს მომავალი წლის ბიუჯეტს, რომელშიც ასახულია კომისიის ყველა ხარჯი, მათ შორის, კომისიისა და მისი აპარატის სახელფასო უზრუნველყოფის ხარჯები, აგრეთვე შემოსავალი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისიის ბიუჯეტს ქმნის რეგულირების საფასური, ამ კანონით, „მაუწყებლობის შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული დაფინანსების სხვა წყაროები.
4. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია მოამზადოს მომავალი წლის ბიუჯეტი, რომელშიც ასახული უნდა იყოს კომისიის ყველა ხარჯი და შემოსავალი. კომისია ვალდებულია გამოაქვეყნოს თავისი ბიუჯეტი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისიის ბიუჯეტს ქმნის რეგულირების საფასური, ამ კანონით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული დაფინანსების სხვა წყაროები.
5. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 14^1 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს და ამტკიცებს მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმას მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროებში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად კომისია უფლებამოსილია კომისიის ბიუჯეტიდან გამოყოს შესაბამისი თანხები, მოიპოვოს გრანტები და დაფინანსების სხვა წყაროები, აგრეთვე კომისიის ბიუჯეტიდან დააფინანსოს მედიაწიგნიერების ხელშეწყობის პროგრამები/პროექტები.
6. როგორც აღინიშნა, 2020 წლის 31 დეკემბრის სხდომაზე კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსმა ნათია დევდარიანმა, კომისიის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შეუფერხებელი შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოადგინა კომისიის და ააიპ „მედიააკადემიის“ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი შემუშავდა 2020 წლის ფაქტიური შემოსავლებიდან და ხარჯებიდან გამომდინარე, ასევე კომისიის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი 2021 წლის სავარაუდო ხარჯების

გათვალისწინებით. კომისია მიიჩნევს, რომ კანონმდებლობის საფუძველზე, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად უნდა დამტკიცდეს კომისიისა და აკადემიის 2021 წლის ბიუჯეტი.

III. სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული „მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 14^5 მუხლის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, 14^1 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს კომისიის 2021 წლის ბიუჯეტი შემდეგი სახით:

N	დასახელება	ბიუჯეტი
	სულ შემოსავლები და რეზერვი	15,252,000
1	შემოსავალი რეგულირების საფასურიდან	8,466,930
2	შემოსავალი რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან	3,133,291
3	საპროცენტო შემოსავალი	334,782
4	სარეზერვო ფონდი	3,316,997
	სულ ხარჯები	15,252,000
1	კაპიტალური ხარჯები	744,545
2	შრომის ანაზღაურების ხარჯები	7,782,020
3	მივლინების ხარჯები	251,527
4	მომსახურების ხარჯები	1,851,864
5	ელექტრონული მომსახურების ხარჯები	253,333
6	საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები	319,200
7	კომუნიკაციის ხარჯები	36,864
8	კომუნლური ხარჯები	62,615
9	საკანცელარიო ხარჯები	3,700
10	დაცვის ხარჯები	146,160
11	საწვავის ხარჯი	32,392
12	საწევრო ხარჯები	33,779
13	რემონტისა და შენახვის ხარჯები	243,914
14	სხვა ხარჯები	22,432
15	წარმომადგენლობითი ხარჯები	75,800
16	გაუთვალისწინებელი ხარჯები	25,153
17	საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	233,410
18	მედიაწიგნიერების ხარჯები	3,133,291
18.1	*მედიაწიგნიერების ხარჯები*	*669,258*
18.2	*ააიპ მედიააკადემიის ხარჯები*	*2,464,033*

2. დამტკიცდეს აკადემიის 2021 წლის ბიუჯეტი შემდეგი სახით:

N	დასახელება	ბიუჯეტი
	სულ ხარჯები	2,464,033
1	კაპიტალური ხარჯები	17,500
2	შრომის ანაზღაურების ხარჯები	801,025
3	ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	1,645,508

3. დაევალოს აკადემიის აღმასრულებელ დირექტორს მიზნობრივი დაფინანსების მისაღებად კომისიაში ინვოისების წარმოდგენა.
4. დაევალოს აკადემიის აღმასრულებელ დირექტორს კომისიაში ყოველთვიური ფაქტიური ხარჯების ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა, თანდართულ ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლებთან ერთად, ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვის ჩათვლით.
5. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის სხდომაზე გამოცხადებისთანავე.
6. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო. ვოტ) გადაწყვეტილების კომისიის ვებგვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში;
8. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის ადმინისტრაციის უფროსს (ო. ვოტ).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ელისო ასანიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი